ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 718
26/09/2019

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სამსახურს წარედგინა - აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის 2019 წლის: 16 აგვისტოს Nფა/2-07, 2 სექტემბრის Nფა/2-08, 10 სექტემბრის Nფა/2-09, 17 სექტემბრის Nფა/2-11 განცხადებები (სამსახურში რეგისტრაციის N169397/16, 19.08.2019; N178849/16, 02.09.2019; N184731/16, 10.09.2019; N189606/16, 17.09.2019).

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის და სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის სხდომის გადაწყვეტილების (ოქმი N1, N2 და N3) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2019 წლის 17 სექტემბრის Nფა/2-11 კორესპონდენციით (სამსახურში რეგისტრაციის N189606/16, 17.09.2019) წარმოდგენილი განგრძობითი განათლების 2019 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი- SARAS-CPD-008/19;
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის

საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება;

5. დაევალოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას აღიარებული განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური